შეთანხმება პროფესიულ განათლებაში სოციალური პარტნიორობის პოლიტიკის განსაზღვრის თაობაზე

პროფესიული განათლება არის სახელმწიფო ორგანოების, დამსაქმებლების, პროფესიული კავშირებისა და ასოციაციების, მთლიანად სამოქალაქო საზოგადოების მუდმივი სოციალური დიალოგის საგანი.

საქართველოს მთავრობის ინიციატივით, პროფესიული განათლების განვითარებისა და პროფესიულ განათლებაში სახელმწიფო დაწესებულებების, დამსაქმებლების, პროფესიული კავშირებისა და არასამთავრობო სექტორის, აგრეთვე პროფესიული კოლეჯების კოორდინირებული მოქმედების უზრუნველყოფის მიზნით, შეიქმნა პროფესიული განათლებისა და მომზადების ეროვნული პროფესიული საბჭო.

საბჭოს უფლებამოსილება და მუშაობის ფორმატი განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2009 წლის 4 ნოემბრის №203 დადგენილებით დამტკიცებული ,,პროფესიული განათლებისა და მომზადების ეროვნული პროფესიული საბჭოს დებულებით".

დებულებით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად საბჭოს მიერ შექმნილია თემატური სამუშაო ჯგუფები, მათ შორის სოციალური პარტნიორობის თემატური სამუშაო ჯგუფი, რომელიც შეიმუშავებს წინადადებებს სოციალური პარტნიორების თანამშრომლობის შემდგომი სრულყოფის თვალსაზრისით.

წინამდებარე დოკუმენტი სოციალური პარტნიორობის თემატური სამუშაო ჯგუფის მიერ არის შემუშავებული და მიზნად ისახავს პროცესში ჩართულ მხარეებს შორის პასუხისმგებლობების გამიჯვნას.

დოკუმენტზე ხელმომწერი მხარეები აცნობიერებენ, რომ:

სოციალურ პარტნიორობას აქვს ფუნდამენტური მნიშვნელობა პროფესიული განათლების სფეროში. იგი მნიშვნელოვანია როგორც პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების, ასევე მათი დანერგვა-განხორციელების ეტაპზე;

პროფესიული განათლების სისტემა მორგებული უნდა იყოს ცვალებადი შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებზე;

პროფესიული განათლების სფეროში სოციალურმა პარტნიორებმა გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულონ კონკრეტული პროფესიების განვითარებაში, როგორც ნაციონალურ, ასევე დარგობრივ და საწარმოო დონეზე;

სოციალურმა პარტნიორებმა ხელი უნდა შეუწყონ პროფესიული განათლების მართვის მექანიზმების სრულყოფას;

პრიორიტეტია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების პედაგოგთა და ტექნიკური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება, პროგრამების განსახორციელებლად შესაფერისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ჩამოყალიბება და შრომის ღირსეული, მათ შორის, უსაფრთხო პირობების შექმნა;

პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მომზადებულ პირთა კვალიფიკაცია და კომპეტენციები უნდა შეესაბამებოდეს მათ მიერ შესასრულებელ სამუშაოს;

სამმხრივი დიალოგის რეჟიმში აუცილებელია შემუშავდეს და დაინერგოს სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდები, რითაც ძალისხმევა ორიენტირებული იქნება პრაქტიკულ მეცადინეობებსა და საგანმანათლებლო პროცესში სამეწარმეო პრაქტიკის ინტეგრაციაზე;

მნიშვნელოვანია საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება, მათ შორის, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით პროექტების განხორციელება პროფესიული განათლების შემდგომი განვითარებისათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სოციალური პარტნიორების ერთობლივი ძალისხმევით უნდა შემუშავდეს:

1. სასწავლო და სამეწარმეო პარტნიორობის წამახალისებელი მექანიზმები;
2. პროფესიული სტანდარტები;
3. ახალი საგანმანათლებლო პროგრამები.

სოციალურ პარტნიორებს შორის პროფესიული განათლების განვითარების პროცესში პასუხისმგებლობის გამიჯვნის თვალსაზრისით

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვალდებულებებია:

- პროფესიული განათლების პოლიტიკის განხორციელება;
- პროცესების მიმდინარეობის მონიტორინგისა და ეფექტიანი შეფასების სისტემის შემუშავება;
- პროცესის ნებისმიერ ეტაპზე არსებული პრობლემების ეფექტურად აღმოფხვრის მექანიზმების შემუშავება;
- პროფესიული სტანდარტების დამტკიცების უზრუნველყოფა;
- პროფესიული სპეციალიზაციების ნუსხის წარმოება;
- უცხოეთში მიღებული პროფესიული კვალიფიკაციების აღიარების უზრუნველყოფა;
- შესაბამისი ნორმატიული ბაზის შექმნა;
- დონორების კოორდინირება;
- საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შემდგომი განვითარების ხელშეწყობა.

პროფესიული კავშირების ან/და მათი გაერთიანებების ვალდებულებებია:

- პროფესიული განათლებისა და მომზადების პოლიტიკის დაგეგმვისათვის საკუთარ კვლევებზე დაყრდნობით წინადადებებისა და შესაბამისი პროექტების წარდგენა პარტნიორებთან შეთანხმების მიზნით;
- პროფესიული სტანდარტებისა და საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში აქტიური მონაწილეობის მიღება:
- სფეროს განვითარების ნებისმიერ ეტაპზე ყველა იმ საკითხის პარტნიორებთან წარმოდგენა, რომლებიც მისი მხრიდან მიჩნეული იქნება აუცილებელ საჭიროებად;
- დასაქმების პირობების ანალიზი, სისტემატური მონიტორინგი და რეკომენდაციების შემუშავება მათი შემდგომი სრულყოფის მიზნით;
- პარტნიორებთან ერთად შრომის ღირსეული, მათ შორის, უსაფრთხო პრინციპების წახალისების მექანიზმების შემუშავება შრომის ნაყოფიერების გაზრდის მიზნით;
- საწარმოო პრაქტიკიდან სრულფასოვან შრომით ურთიერთობებში პროფესიული სტუდენტების წარმატებული მონაწილეობის უზრუნველსაყოფად შესაბამისი სასწავლო მეთოდიკის შემუშავება და საინფორმაციო ღონისძიებების განხორციელება;
- სამუშაოს მაძიებელთა და პოტენციურ უმუშევართა აღრიცხვა კომპეტენციებისა და გამოცდილების გათვალისწინებით, მათი პროფორიენტაციისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებში რეფერირების განხორციელება.

დამსაქმებელთა ორგანიზაციების ან/და მათი გაერთიანებების ვალდებულებებია:

- ყველა დონეზე ბიზნესწრეების ინტეგრაცია პროფესიული განათლებისა და მომზადების პროცესში;
- ბიზნესის ხედვისა და მოთხოვნების ლობირება პროფესიული განათლების რეგულირებისას;
- სტუდენტთა მომზადების პროცესში ბიზნესწრეების უწყვეტი მონაწილეობის მიღება;
- შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამებისა და პროფესიული სტანდარტების შემუშავებაში აქტიური მონაწილეობა და სოციალურ პარტნიორებთან შეთანხმების მიზნით განხილვების წარმოება;
- საწარმოო პრაქტიკის ხელშეწყობა და მათი მიმდინარეობის სრულყოფა;
- საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების პროცესში დამსაქმებლების მონაწილეობის ხელშეწყობა.

წინამდებარე ვალდებულებების შესასრულებლად განხორციელებული საქმიანობის შესახებ ანგარიშს მხარეები პროფესიული განათლებისა და მომზადების ეროვნულ პროფესიულ საბჭოს წარუდგენენ არანაკლებ ექვს თვეში ერთხელ.

ხელმომწერი მხარეები:

დიმიტრი შაშკინი	ირაკლი პეტრიაშვილი	ელგუჯა მელაძე
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი	საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარე	საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტი